

საქართველოს კანონი

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასთან, სახელმწიფო ხელშეწყობასთან, მათი საქმიანობის მონიტორინგთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია:

ა) საკომლო (საოჯახო) მეურნეობების განვითარება, მათი კოოპერირება და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება;

ბ) სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა;

გ) სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;

დ) სოფლად სიღარიბის აღმოფხვრა;

ე) სოფლიდან მოსახლეობის მიგრაციის შეჩერება;

ვ) სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდა, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება და რენტაბელობის ამაღლება, ეროვნული ეკონომიკის განვითარება;

ზ) ბიოლოგიური მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან მიწასთან დაკავშირებულ ქონებაზე განხორციელებული ყველა სახის სამეურნეო საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მომსახურება, რომლებიც მოიცავს მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, ფრინველის, თევზის, აბრეშუმის ჭიის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტების წარმოებას, გადამამუშავებას, დაფასოებას, შეფუთვის, შენახვას, გადაზიდვასა და რეალიზაციას;

ბ) მიწასთან დაკავშირებული ქონება – უძრავი და მოძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება მცენარეული და ცხოველური (მათ შორის, ფრინველის, თევზის, აბრეშუმის ჭიის, ფუტკრის და სხვა) პროდუქტების წარმოების, გადამამუშავების, დაფასოების, შეფუთვის, შენახვის, გადაზიდვისა და რეალიზაციისათვის;

გ) სოფლის მეურნეობის პროდუქტი – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტი;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ე) წევრთა (მეპაიეთა) ეკონომიკური მონაწილეობა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა (მეპაიეთა) მონაწილეობა ამ კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში;

(ე) ეკონომიკური მონაწილეობა – სასაქონლო ბრუნვაში მეპაიის მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში წარმოებული/მიწოდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და გაწეული მომსახურების ღირებულების ხვედრითი წილი; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

„ე¹) პაი – საპაიო ფონდში განხორციელებული საპაიო შენატანი, დამატებითი საპაიო შენატანი და ასოცირებული წევრის შენატანი; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ) შენატანი (პაი) – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის შენატანი ფულით ან ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით;

(ვ) საპაიო შენატანი – საპაიო ფონდში მეპაიის მიერ ფულით ან/და ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით განხორციელებული სავალდებულო შენატანი; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ¹) დამატებითი საპაიო შენატანი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე, საპაიო ფონდში მეპაიის სურვილით, ფულით ან/და ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით განხორციელებული დამატებითი შენატანი, რომელიც მეპაიეს აძლევს ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დამატებითი დივიდენდის მიღების უფლებას; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ²) მეპაიე – პირი, რომელიც იზიარებს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის პრინციპებს, უშუალოდ მონაწილეობს მის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს საპაიო შენატანს; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ³) ასოცირებული წევრი – პირი, რომელიც იზიარებს შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის პრინციპებს და რომელიც შეიძლება უშუალოდ არ მონაწილეობდეს მის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ საპაიო ფონდში განხორციელებული აქვს ასოცირებული წევრის შენატანი; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ⁴) ასოცირებული წევრის შენატანი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საჭიროებიდან გამომდინარე, საპაიო ფონდში ასოცირებული წევრის მიერ ფულით ან ფულად ღირებულებაში გამოხატული ქონებით განხორციელებული შენატანი, რომლის

საფუძველზედაც ასოცირებული წევრი იღებს დივიდენდს ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ⁵) საერთო კრება – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მმართველობის უმაღლესი ორგანო; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ⁶) სათათბირო ხმა – ასოცირებული წევრის უფლება, მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების დღის წესრიგის განსაზღვრაში და შესაბამისი საკითხების განხილვაში. გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ხმა არ ჩაითვლება მეპაიეთა ხმების საერთო რაოდენობაში; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ზ) დემოკრატიული მართვა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების თანაბარი შესაძლებლობა, მართონ და აკონტროლონ კოოპერატივის საქმიანობა, რისთვისაც კოოპერატივის თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით;

(ზ) დემოკრატიული მართვა – მეპაიეთა თანაბარი შესაძლებლობა, მართონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და აკონტროლონ მისი საქმიანობა, რისთვისაც თითოეული მეპაიე საერთო კრებაზე 1 ხმის უფლებით სარგებლობს; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

თ) ბიოლოგიური მეურნეობა – სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგებული სისტემა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმებისა და გარემოს ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას უწყობს ხელს, რომლის დროსაც შენარჩუნებულია ბუნებრივი წონასწორობა.

ი) კოოპერაციული შემოსავალი – მეპაიის შემოსავლის ნაწილი, რომელსაც იგი იღებს სამეურნეო წლის განმავლობაში თავისი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად, საერთო კრების მიერ დადგენილი წესით; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

კ) სასაქონლო ბრუნვა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ შესაბამის საანგარიშო პერიოდში წარმოებული/მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და გაწეული/მიღებული მომსახურების ღირებულებათა ჯამი; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ლ) სავალდებულო სარეზერვო ფონდი – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში აკუმულირებული თანხა, რომელიც გამოიყენება გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომისას, საერთო კრების გადაწყვეტილებით; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მ) საპაიო ფონდი – პაის ფულად ერთეულში გამოხატული ჯამური ღირებულება, რომლის ოდენობასა და განკარგვის წესს განსაზღვრავს საერთო კრება; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ნ) სავალდებულო საპაიო შენატანი – საპაიო ფონდში მეპაიის მიერ განსახორციელებელი აუცილებელი შენატანი, რომელიც მას მისცემს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობაში მონაწილეობისა და კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდის მიღების უფლებას, აგრეთვე საერთო კრებაზე ხმის უფლებას; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ო) მინიმალური პაი – საპაიო ფონდში განხორციელებული საპაიო შენატანის მინიმალური ზღვარი, რომელსაც ადგენს საერთო კრება. (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 4. საქართველოს კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან.

მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) ნებაყოფლობითი წევრობა;

ბ) დემოკრატიული მართვა;

გ) წევრთა (მეპაიეთა) ეკონომიკური მონაწილეობა;

(გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობა;

(11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

დ) სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება.

მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროები

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროებია: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გადამამუშავება, დაფასობა, შეფუთვა, შენახვა, გადაზიდვა და რეალიზაცია.

მუხლი 7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოსაპოვებლად კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი განცხადებით მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო).

2. განცხადებას უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება აღნიშნული იურიდიული პირის რეგისტრაციის ფაქტი და განმცხადებლის უფლებამოსილება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება აღნიშნული იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ან/და ქონებაზე საკუთრების უფლება;

გ) კოოპერატივის წესდება.

3. თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული იურიდიული პირისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღნიშნული იურიდიული პირის მონაცემები სააგენტოს შეჰყავს ელექტრონულ რეესტრში და გაცემს შესაბამის მოწმობას.

5. ელექტრონული რეესტრის მონაცემები საჯაროა და ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგები იურიდიული პირისთვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველია, რაც ეცნობება შესაბამის იურიდიულ პირს და ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

(6. სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის საქმიანობის მონიტორინგი. ამ მონიტორინგის შედეგები შეიძლება გახდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის იურიდიულ პირს და ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს))

7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 8. სააგენტო

1. სააგენტო არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტრო.

2. სააგენტო იქმნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) ბრძანებით.

3. სააგენტოს დებულებას ამტკიცებს მინისტრი.

4. სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და სააგენტოს დებულებით.

5. სააგენტოს ძირითადი უფლებამოსილებებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება;

ა¹) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გრანტების გაცემა; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კონსულტაციების გაწევა;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების ბაზის შექმნა, რომელშიც აისახება ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული, მიმდინარე ან/და განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე მოყვანილი და რეალიზებული მოსავლის, გაწეული მომსახურების სახეობის, რაოდენობის შესახებ და სხვა მონაცემები;

ე) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება და შეწყვეტა;

ვ) კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ქვეყნების კოოპერაციულ გაერთიანებებთან თანამშრომლობა;

ზ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კადრების მომზადებისა და გადამზადების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;

თ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სფეროში გამოცდილებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, გამოფენების, სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება;

ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება. ამ მიზნით სააგენტო უფლებამოსილია:

ი.ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისაგან მოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია მათ მიერ განხორციელებული ან/და განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თაობაზე;

ი.ბ) საჭიროების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელების უზრუნველსაყოფად მიავლინოს უფლებამოსილი პირები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობის ადგილზე გასაცნობად;

ი.გ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

6. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტის სახით მიღებული თანხები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

7. სააგენტოს აქვს ბეჭედი და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში. ამასთანავე, სააგენტოს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჰქონდეს ანგარიში კომერციულ ბანკშიც. (12.12.2014. N2941 ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან)

მუხლი 9. სააგენტოს ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს.

2. სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

3. სააგენტოს თავმჯდომარე:

- ა) წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირთან ურთიერთობაში;
- ბ) იღებს გადაწყვეტილებას (გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს) სააგენტოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე;
- გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს სახსრებსა და ქონებას;
- ე) ახორციელებს სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებასთან დაკავშირებით გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებები ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- ა) სავალდებულო სარეზერვო ფონდის შექმნისა და განკარგვის წესს;
- ბ) წარმომადგენელთა ან საერთო კრების მოწვევის წესსა და უფლებამოსილებებს;
- გ) შენატანის (პაის) ოდენობას;

(გ) მინიმალური პაის და საპაიო შენატანის ღირებულებებს; (11.11.2015 N4495

ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

დ) წევრთა (მეპაიეთა) რეესტრის წარმოების წესს; **ამოღებულ იქნეს** (11.11.2015 N4495
ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ე) მოგებისა და დივიდენდის განაწილების წესსა და პროცედურას;

(ე) ამ კანონის 13³ მუხლის შესაბამისად მოგების განაწილების წესს; (11.11.2015 N4495

ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ვ) ზარალის განაწილების წესს;

ზ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრს (მეპაიეს) შორის ურთიერთვალდებულებების წერილობით გაფორმების წესს;

თ) ლიკვიდაციის და ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება უნდა ითვალისწინებდეს, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სავალდებულო სარეზერვო ფონდის შენატანები არ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური მოგების 15%-ზე ნაკლები.

(3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული სავალდებულო სარეზერვო ფონდი არ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური მოგების 15%-ზე ნაკლები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წინა საანგარიშო წლის მოგების არანაკლებ

15%-ის აკუმულირება წლის დასაწყისში უნდა განხორციელდეს. (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა სახის ფონდების, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო სარეზერვო ფონდისა, შექმნას და მათი განკარგვის წესს.

მუხლი 10¹. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრი (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ვალდებულია აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრი.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის წარმოების წესი მტკიცდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 11. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს:

ა) 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის;

ბ) ამ კანონით განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა იმ დასახლებებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 5-ზე ნაკლები. (16.07.2015. N4039) (2016 წლის 1 იანვრამდე „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის დასახლებებად ითვლება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 8 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24(31), 1999 წელი, მუხ. 121) დანართით განსაზღვრულ ჩამონათვალში აღნიშნული სოფლები, თემები და დაბები.)

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს დარღვევის გამოსწორებისათვის მიეცემა გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

(მუხლი 11. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები (11.11.2015 N4495

ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები არიან მეპაიე და ასოცირებული წევრი.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ან/და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს საპაიო შენატანს.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა იმ დასახლებებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 5-ზე ნაკლები.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქე) ან/და იურიდიული პირი (მათ შორის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი), რომელსაც ამ კანონისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე საპაიო ფონდში განხორციელებული აქვს ასოცირებული წევრის შენატანი.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შესაბამისი დარღვევის გამოსწორებისათვის ეძლევა გონივრული ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.)

მუხლი 12. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრობის შეწყვეტა

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის საფუძვლებია:

- ა) წევრობიდან გასვლა;
- ბ) წევრის გარიცხვა;
- გ) წევრის გარდაცვალება;

(გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის გარდაცვალება/ ლიკვიდაცია;

(11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ლიკვიდაცია.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით შეიძლება შეიზღუდოს წევრობიდან გასვლის უფლება წევრის მიერ ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის გარიცხვა შეიძლება, თუ იგი:

- ა) არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს;
- ბ) უხეშად არღვევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებს ან/და არ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს.

(ბ) უხეშად არღვევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებს ან/და არ ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საერთო კრების, გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს. (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება ხმათა უბრალო უმრავლესობით. საერთო კრების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 13. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება იქმნება წევრთა (მეპაიეთა) შენატანით (პაით), სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებით, მიღებული გრანტით და სხვა წყაროებით, რომლებიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

(1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონება შედგება პაისგან, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული მოგებისგან, მიღებული გრანტებისა და სხვა წყაროებისგან, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

(11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონებას კოოპერატივის წესდებით დადგენილი უფლებების ფარგლებში განკარგავენ მისი მმართველობის ორგანოები.

მუხლი 13¹. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა შენატანები (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. მეპაიის სავალდებულო საპაიო შენატანის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მისი მოსალოდნელი სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად, კოოპერატივის მიერ ამ მეპაიისთვის გასაწევი მომსახურების ან/და მისაწოდებელი პროდუქციის ღირებულების პროპორციულად.

2. მეპაიეს უფლება აქვს, განახორციელოს დამატებითი საპაიო შენატანი სავალდებულო საპაიო შენატანის სრულად განხორციელების შემდეგ, საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ასოცირებული წევრის შენატანის სახესა და ოდენობას ადგენს საერთო კრება, ხოლო მისი განხორციელების პირობები, აგრეთვე დივიდენდის გაცემის წესი განისაზღვრება ამ კანონითა და ასოცირებულ წევრსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში პაის ქონების სახით შეტანისას კოოპერატივი და ქონების შემტანი პირი წერილობით თანხმდებიან მის ღირებულებაზე.

5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ქონების სახით შეტანილი პაის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც აღემატება მეპაიის სავალდებულო საპაიო შენატანის ღირებულებას, მის დამატებით საპაიო შენატანში აისახება.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში პაის ქონების სახით შეტანისას ქონების ვალდებულებით დატვირთვა ან/და გასხვისება მისი შემტანი პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე ხორციელდება.

მუხლი 13². სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა უფლებები და მოვალეობები (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მართვაში;

ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოში;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოსგან მიიღოს სრული ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის შესახებ;

დ) ისარგებლოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მომსახურებით;

ე) მიიღოს დივიდენდი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან;

ვ) მიიღოს დამატებითი დივიდენდი მისი დამატებითი საპაიო შენატანის შესაბამისად, ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ზ) მოითხოვოს საკუთარი ხარჯით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამატებითი საბუღალტრო შემოწმების ან/და აუდიტის ჩატარება;

თ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრობიდან გასვლისას ან კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის სხვა შემთხვევაში დაიბრუნოს კუთვნილი პაი ფულის ან/და ქონების სახით, ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;

ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შედეგად დარჩენილი ქონებიდან მიიღოს შესაბამისი წილი ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;

კ) გაეცნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის მონაცემებს;

ლ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით დადგენილი წესები;

ბ) შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საერთო კრების, გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები;

გ) შეიტანოს პაი ამ კანონით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებითა და საერთო კრების მიერ დადგენილი წესით;

დ) მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით ან/და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ე) განახორციელოს დამატებითი საპაიო შენატანი ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ვ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ასოცირებული წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში სათათბირო ხმის უფლებით;

ბ) არჩეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოში;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოსგან მიიღოს სრული ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის შესახებ;

დ) ისარგებლოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მომსახურებით;

ე) მიიღოს დივიდენდი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან;

ვ) მოითხოვოს საკუთარი ხარჯით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის დამატებითი საბუღალტრო შემოწმების ან/და აუდიტის ჩატარება;

ზ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრობიდან გასვლისას ან კოოპერატივის წევრობის შეწყვეტის სხვა შემთხვევაში დაიბრუნოს კუთვნილი ასოცირებული წევრის შენატანი ფულის ან/და ქონების სახით, ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;

თ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ვალდებულებების დაფარვის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ქონებიდან დაიბრუნოს კუთვნილი ასოცირებული წევრის შენატანი და დარჩენილი ქონების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეებზე განაწილებამდე მიიღოს დივიდენდი ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;

ი) გაეცნოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის მონაცემებს;

კ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ასოცირებული წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით დადგენილი წესები;

ბ) განახორციელოს ასოცირებული წევრის შენატანი ამ კანონით ან საერთო კრების მიერ დადგენილი წესით და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

გ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 13³. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგების განაწილება (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდები, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ასოცირებულ წევრებზე გაიცემა:

ა) თუ საერთო კრების გადაწყვეტილებითა და ასოცირებულ წევრსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია დივიდენდის ასოცირებული წევრის შენატანის პროპორციულად გაცემა, გაცემული დივიდენდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ ასოცირებული წევრის შენატანის ღირებულების 15%-ს 1 სამეურნეო წლის განმავლობაში;

ბ) თუ საერთო კრების გადაწყვეტილებითა და ასოცირებულ წევრსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია ამ ასოცირებულ წევრზე დივიდენდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან გაცემა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა დამატებითი საპაიო შენატანებისა და ასოცირებულ წევრთა შენატანების მიხედვით გასაცემი დივიდენდების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური მოგების 30%-ს.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან დივიდენდები ასოცირებული წევრების შემდეგ გაიცემა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეებზე, მათი დამატებითი საპაიო შენატანების შესაბამისად:

ა) თუ საერთო კრების გადაწყვეტილებითა და მეპაიესა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია დივიდენდის მეპაიის დამატებითი საპაიო შენატანის პროპორციულად გაცემა, გაცემული დივიდენდის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მეპაიის დამატებითი საპაიო შენატანის ღირებულების 15%-ს 1 სამეურნეო წლის განმავლობაში;

ბ) თუ საერთო კრების გადაწყვეტილებითა და მეპაიესა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია ამ მეპაიეზე დივიდენდის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგებიდან გაცემა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეთა დამატებითი საპაიო შენატანებისა და ასოცირებულ წევრთა შენატანების მიხედვით გასაცემი დივიდენდების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური მოგების 30%-ს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად დივიდენდების გაცემის შემდეგ დარჩენილი მოგება ნაწილდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიეებზე, მათი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად.

მუხლი 13⁴. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ იმ პირებისაგან, რომლებიც მეპაიეები არ არიან, შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და მათთვის გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური სასაქონლო ბრუნვის 30%-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საწარმოო-ტექნოლოგიური პროცესებისა და აღწარმოებისათვის აუცილებელ სანერგე და სათესლე მასალებზე და ცხოველთა კვებისა და გამრავლებისათვის საჭირო პროდუქციაზე.

მუხლი 14. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახელმწიფო ხელშეწყობი ღონისძიებებია:

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;

(ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პროექტებისა და პროგრამების შემუშავება და განხორციელება; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ შეღავათიანი საკრედიტო რესურსებისა და გრანტების, მათ შორის, სახელმწიფო გრანტის, მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა; (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კონსულტაციების გაწევა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის საგადასახადო შეღავათების დადგენა.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებამდე დაფუძნებულ კოოპერატივს, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უფლება აქვს, ამავე კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს მიმართოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესი.

3. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს დაფუძნება, სააგენტოს დებულების დამტკიცება და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

4. იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომლებსაც 2016 წლის 1 იანვრამდე მიენიჭებათ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და რომლებზედაც არ ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, უნარჩუნდებთ აღნიშნული სტატუსი. (11.11.2015 N4495 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

მუხლი 16. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-7 და მე-10–მე-14 მუხლებისა და მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–მე-7 და მე-10–მე-14 მუხლები და მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

ქუთაისი,
12 ივლისი 2013 წ.
N816-რს